ხუთშაბათი, 8 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 246

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 6 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. [illegible] მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

## რუსული ოპერა

სახაზინო თეატრი. ამხანაგობა საოპერო არტისტებისა. ხუთშაბათს, 8 ნოემბერს მეხუთედ „ევგენი ონეგინი" ოპერა 3 მოქ. 7 სურ. ჩაიკოვსკისა, ამ ოპერაში მეორე ხარისხოვან როლებსაც პირველი მომღერალნი შეასრულებენ. მონაწილენი: ქ-ნი რიბჩინსკისა—ოლგას როლი, სპეშნევისა—ძიძა, ფედოროვსკისა—ლარინა, ტურგანინოვისა—ტატიანა; ბ ნნი: აკიმოვი-როტნი, ლეონიდოვი—ონეგინი, მახინი—ლენსკი, პლატონოვი—ტრიკე, სიბირიაკოვი—გრემინი, ენგელკრონი—ზარეცკი, იუჩენკოვი-ზაპევალო.

კაპელმეისტერი მ. გოლინკინი. დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

**ანონსი**: 9 ნოემ. იაფფასიანი წარმოდგენა—«დემონი"; 10 ნოემბ. წარმოდგენა—გალა, ბენეფისი ბ. მახინისა—პოლონურად ოპ. «გალკადან" პოლონურად შეასრულებს დუმკას. ფასები საბენეფისო. 11 ნოემ. დილით იაფფასიანი—„რუსლან და ლიუდმილა». საღამოთი „ჩერევიჩკი". 12 ნოემბ. საქველმ. წარმოდ. ქალთა გიმნ. მოწაფეთა სასარგებლოდ—«კნიაზ იგორ" ფასები ჩვეულებრივია. (6.—1)

მ ქ ი მ ი

### ა. ნ. დიასამიძე

**განიზა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

### ივ. გოძართელი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—11)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, ხირურგიულ და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს იუწუკებს, ძირმაგრებს, ბუიონეის და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—5)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—218)

**შურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

### ნ. ა. სტეპანიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—12)

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—39)

მ ქ ი მ ი

**ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი ქალი

### ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით 1½—2½ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—20)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

### ე. დ. ნასარიძე

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

**დოქტორი მედიცინისა**

### გ. გ. გურბანოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადმოვიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—23)

მ ქ ი მ ი

**ვ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას**. სპეციალური ექიმია **გულის და ნაწლევებისა**. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრო., № 36, სახ. ქავქანიძისა(25—წლ.

ქ. ქუთაისში

### ექიმი ჯაფარიძე

იღებს ყურით, ყელ ით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიქარაძისა. (50—6.—4)

ქ. ქუთაისში

### ექიმი ბადრიძე

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5 ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—2)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის" რედაქციაში.

## ტფილისი, 8 ნოემბერი.

სათათბიროს უძლიერეს პარტიას ოქტომბრისტები შეადგენენ. მაშასადამე, რა მიმართულებას მიიღებს იმისი მოღვაწეობა, რა ნაყოფს გამოიღებს იგი, ეს ყველაზე უწინ თვით ოქტომბრისტებზეა დამოკიდებული. მაგრამ რას წარმოადგენენ ოქტომბრისტები, რა პრაქტიკულ იდეალების მატარებელნი არიან—ამის შესახებ უკანასკნელ დრომდე გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. რაც ოქტომბრისტებს ოფიციალურ პროგრამაში უწერიათ, ეს სრულიად არაა მათი საზოგადოებრივი ღირებულების დამახასიათებელი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საკმაოდ დიდმა დრომ გაიარა მას შემდეგ, რაც ეს პროგრამა იქმნა დაწერილი და ამ დროს განმავლობაში კი ბევრი რამ შეიცვალა, შეიცვალნენ, სხვათა შორის თვით ადამიანებიც. მეორე და უმთავრესი მიზეზი ოქტომბრისტების გამოურკვევლობისა კი ის არის, რომ თვითეული მათგანი თავის საკუთარ გზას ადგა და ერთად ისინი საზოგადოებრივ მთლიანობას არ წარმოადგენდნენ მისწრაფებათა შინაარსით.

მაშ რა ჰქმნის ოქტომბრისტებს ერთ საზოგადოებრივ ძალად, რა შეადგენს მათის მთლიანობის ძარღვს და ამის მიხედვით, რა მიმართულებას მისცემენ ისინი ახალს სათათბიროს? ყველა ამას საკმაოდ აჰხადა ფარდა ოქტომბრისტების იმ კრებამ, რომელიც სათაბიროს გახსნას უძღოდა წინ და სათათბიროს თავმჯდომარის კანდიდატს ეძებდა. ოქტომარისტების თვითეულ პაწია ჯგუფს თავისი საკუთარი კანდიდატი ჰყავნდა; თითოეული ჯგუფი თავის კანდიდატის უპირატესობაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ამ „ლაპარაკს" არავითარი საზოგადოებრივი ხასიათი არა ჰქონია, რადგან კანდიდატის ამორჩევას პირადს სიმპატიასა და ანტიპატიაზე ამყარებდნენ. ოქტომბრისტების შეთანხმება ერთს კანდიდატზე მით უფრო ძნელდებოდა, რომ ამ კრებას მემარჯვენე პარტიების წარმომადგენელნიც დაესწრნენ და აქ არჩეულ კანდიდატისათვის შემდეგ მემარჯვენეებსაც მხარი უნდა დაეჭირათ. ხსნა ოქტომბრისტებს მათმა ლიდერმა გუჩკოვმა უჩვენა. გუჩკოვმა განაცხადა, ხომიაკოვის ამორჩევა სათათბიროს თავმჯდომარედ სწადიანთ იმათ, ვის სურვილის წინააღმდეგ უკიდურესი მემარჯვენენიც კი არ მიდიანო. ეს განცხადება სრულიად საკმაო იყო, რომ მესამე სათათბიროს პატრონპატრონების წრეებში სრული თანხმობა ჩამოვარდნილიყო. აღარც დავა, აღარც კამათი, აღარც ღირსება—ნაკლულევანების აწონ დაწონვა, აღარც კანდიდატის საზოგადოებრივი ფიზიანომია, აღარც იმის გამოცდილება—ერთი სიტყვით, გუჩკოვის განცხადების შემდეგ არავის არაფერი აღარ გაჰხსენებია. „მაღლა" ხომიაკოვი სწადიანთ, მაშ ხომიაკოვი უნდა ავირჩიოთო. ასე ჩამოყალიბდა ოქტომბრისტების და მათთან ერთად უკიდურეს მემარჯვენეების ლოგიკა. ცხადია, რა ყოფილა ოქტომბრისტების შემაერთებელი ერით საზოგადოებრივ ძალად. ცხადია მათი მთლიანობის ძარღვი მათ გარეშე, მათ „ზევით" ყოფილა; ცხადია, რომ ეს „ზევით" მყოფი ძალა ყოფილა გადამწყვეტი ოქტომბრისტების წრეებში ტაქტიკურ საკითხებისა და არა მათი ოფიციალური პროგრამა და ოფიციალური ტაქტიკა. ეს საინტერესო ფაქტი ნათელს ჰფენს იმასაც, თუ რატომ ამჯობინებენ ოქტომბრისტები კავშირს უკიდურეს მემარჯვენეებთან და არა კადეტებთან, თუმცა პარტიულ პროგრამათა მიხედვით კადეტებსა და ოქტომბრისტებს შორის გაცილებით უფრო მეტი ნათესავობაა, ვიდრე ოქტომბრისტებსა და პურიშკევიჩებს შორის. ცხადია, რომ ოქტომბრისტების საზოგადოებრივი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მათის არსებით, არა მათის საკუთარის იდეალებით, არამედ იმით, რაც მათ გარეშე, მათ „ზემოდ" მდგომ ძალებს სწადიანთ.

ამ „გარეშე ძალების" ხანგრძლივი სურვილი იყო ისეთი შედგენილობა სახალხო წარმომადგენლობისა, რომელსაც არსებითად არაფერი ნიშანწყალი არ ექნებოდა სახალხო თვითმოქმედებისა, ხოლო გარეგნობით კი პარლამენტის თვისებებით იქნებოდა შემკობილი. ასეთ შედგენილობის სათათბიროს უწოდებენ ოფიციალურ ენაზე „შრომის უნარიან" სათათბიროს და აი სწორედ ასეთ ხასიათს აძლევენ მას ოქტომბრისტები. ბიუროკრატია 1905 წელს თითონვე ამბობდა, „ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო", მაგრამ ახალი ცხოვრება კი ვერწარმოედგინა თავის გარეშე და იმიტომ არსებითად იმისი კონსტიტუციონალიზმი წარმოადგენდა მხოლოდ თვით ბიუროკრატიის მიერ ცალკე თავის ერთი ნახევრის გამონაწილებას, რათა ამ უკანასკნელს სახალხო წარმომადგენლობის როლი ეთამაშნა. ექვს აგვისტოს სათათბირო, გოფმეისტერ ბულიგინისაგან შემუშავებული, შემთხვევით და შეცდომით არ ახურდავებდა სახალხო წარმომადგენლობის იდეას პარლამენტის გარეგან ფორმებზე. ოფიციოზური პრესსა ტყუილად არა სწერდა მაშინ, რუსეთმა სახელმწიფოებრივობის ახალი ფორმა უნდა შექმნას, ისეთი ახალი ფორმა, რომელიც არც კონსტიტუცია იქნება და არც კონსტიტუციის უარყოფა, არამედ ჰარმონიული შეერთება ავტოკრატიულ და სახალხო მმართველობის რეჟიმისაო. ტყუილად არაა ათვალწუნებული სიტყვა „კონსტიტუცია" მთავრობის და ძირითად კანონების მიერ, ტყუილად არაა აღიარებული „თვითმპყრობელობა" რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილების ძირითად კანონად, თუმცა ფორმალურად არც ერთი კანონი არ შეიძლება გამოიცეს უიმისოდ, თუ ეს კანონი მიღებულ არ იქნა წინადვე სათათბიროსაგან.

იმავე კრებაზე, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, ოქტომბრისტების ლიდერი გუჩკოვი აცხადებს, თუ სათათბიროს უმრავლესობა მოისურვებს, რომ რუსეთის სათაბირო საკანონმდებლო დაწესებულებიდან კანონის მრჩეველ დაწესებულებად გადაიქცეს, ამ შემთხვევაში ოქტომბრისტები უმრავლესობის სურვილს წინ არ აღუდგებიანო. ამასთან თავის სიტყვებს გუჩკოვი დასძენს, ვინ იცის, იქნება უკიდურეს მემარჯვენეთა გზა უფრო ჭეშმარიტი გზა იყოსო... დიახ, ამ კრებაზე სრულიად აეხადა ფარდა ოქტომბრისტების პოლიტიკურ მნიშვნელობას, გამოირკვა, რა შინაგანი ნათესაობა ჰქონიათ ერთმანეთთან ბიუროკრატიას, უკიდურეს მემარჯვენეებს, მემარჯვენეებს და ოქტომბრისტებს. გამოირკვა, რომ მესამე სათათბირო უკვე მხოლოდ გარეგნულად-ღა არსებობს როგორც საკანონმდებლო დაწესებულება, არსებითად კი იგი **კანონის მრჩეველი** დაწესებულებაც კი არ არის, რადგან თავის შეხედულების და მისწრაფების მიხედვით კი არა სწყვეტს ამ სათათბიროს უმრავლესობა სხვადა სხვა წამოყენებულ საკითხებს, არამედ იმის მიხედვით, თუ რა სწადიანთ „მის გარეშე და მის ზემოდ" მდგომ ძალებს. ექვს აგვისტოს სათათბირო ფაქტიურად უკვე აღდგენილია. ბიუროკრატია ერთსა და იმავე დროს ხალხის წარმომადგენლების როლსაც თამაშობს, მთავრობისასაც. შემოქმედებითი ნიჭი რუსეთის ბიუროკრატიისა, ეს ყბად აღებული და წყალ წაღებული შემოქმედებითი ნიჭი თავის გამარჯვებას დღესასწაულობს, მაგრამ დღესასწაულობს უმუნდირო ხალხის წარმომადგენლების ქერქში გამოწყობილი, სხვის სახელით და სხვის ხარჯზე. მეორე სხდომა სათათბიროსი ამ ფაქტიური მდგომარეობის სრული გამოხატულება იყო. „ხალხის წარმომადგენლები" სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებაში ხმა მაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად ამბობდნენ, ოპოზიცია—მაშასადამე კადეტები და სხვა მემარცხენენი, სახელმწიფოს უარმყოფელნი არიანო. სახელმწიფოდ ბიუროკრატიის სულის-კვეთების გამომთქმელ ოქტომბრისტებს და მემარჯვენეებს თავისი თავი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ბიუროკრატია მიაჩნიათ, ხოლო ვინც ამ უკანასკნელს კრიჭაში უდგება—ის სახელმწიფოს მტერი და უარმყოფელი ჰგონიათ. ავტოკრატიულ რეჟიმის დევიზი ყველგან ერთი და იგივეა, ამ დევიზის კლასსიკური ფორმა საფრანგეთის მეფის ლუი მეთოთხმეტის სიტყვებია: „სახელმწიფო—ეს მე თითონა ვარო".

## რა ამბავია?

გუშინ მივიღეთ სატახტო ქალაქთა გაზეთები: მოსკოვისა—2 ნოემბრის, პეტერბურგისა—1-ლ ნოემბრის, ე. ი., ერთნი—სათათბიროს გახსნის დღისა და მეორენი—სათათბიროს გახსნის მეორე დღისა. ყველა, რასაკვირველია, სავსეა წერილებითა და ამბებით მესამე სათათბიროზე, პარტიების მზადებაზე, სხვა და სხვა საპარლამენტო ფრაქციების კრებებზე, განცხადებებზე და სხვა. გადავიკითხეთ ყველა ეს გაზეთები და თავბრუ დაგვესხა: წარმოუდგენელი არევ-დარევა, უზენაესი გაუგებრობა, გამოურკვევლობა—აი ჩვენი შთაბეჭდილება. ყოვლად შეუძლებელია რაიმეს გაგება, შეუძლებელია რაიმე აზრის, გარკვეულის აზრის დასკვნა საქმეთა მდგომარეობის შესახებ. „ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო". რომ იტყვიან, ჩვენში, სწორედ ისეთი არეულ-დარეული ამბებია და დაახლოვებითაც ვერ იტყვით, ამ ახლო მომავალში „რა გამოვა რისაგან"... მაგრამ, თვით მკითხველმა გასინჯოს საბუთ-ფაქტები.

მთავარი ადგილი ფრაქციების კრებებზე და გაზეთებში უჭირავს საკითხს—არის თუ არა რუსეთში კონსტიტუცია და თუ არის, უნდა დარჩეს თუ მოისპოს? დამეთანხმებით, რომ ეს ძირითადი საკითხია მესამე სათათბიროსთვის; თუ ეს არ გამოირკვა, როგორ-ღა უნდა იმუშაოს პარლამენტმა ან რა აზრი ექნება მის არსებობას? ორი მესამედი მესამე სათათბიროისა, როგორც იცით, რეაქციონერებია; ამათ ხელშია დღეს რუსეთის ბედ-ბედი და მოსალოდნელი იყო, რომ ამათ გარკვეული აქვთ საქმეთა მდგომარეობა, რომ მთავრობასთან ერთად ამათაც უკვე გამორკვეული აქვთ—როგორი წესწყობილება ჰსუფევს ან უნდა ჰსუფევდეს რუსეთში. მაგრამ, ნამდვილად ვერაფერს გაიგებ, რას გვიმზადებენ დღევანდელი ჩვენი გამგე-პატრონები... დავიწყოთ გაზეთებიდან.

მემარჯვენეთა ორგანო „ს.-პეტ. ვედომ." გვარწმუნებენ, რომ „მთავარი საკითხი, რომელიც სათათბირომ უნდა გადასწყვიტოს, არის შემდეგი: საბოლოოდ უნდა გამოირკვეს—რომელი წესწყობილება გვაქვს: კონსტიტუცია თუ თვითმპყრობელობა?" თავის მხრით გაზეთი იმ აზრისაა, რომ მესამე სათათბიროს უმრავლესობა თავდებია იმისა, რომ კონსტიტუცია უარყოფილი იქნება. გაზეთს ახარებს ასეთი შედეგი და დასკვნის: „რუსეთის ხსნა—თვითმპყრობელობის შეზღუდვაში-კი არ არის, არამედ იმის განმტკიცებაში; მონარხი ვერ გადასცემს თავის უფლებას ვერც ბიუროკრატიას, ვერც სახალხო წარმომადგენლობას; ის წინანდებურად თვითმომქმედი და თვითმპყრობელი უნდა იქნას"... მემარჯვენეთა მეორე ორგანო „ნოვ. ვრ." სათათბიროს გახსნის დღეს პირველ გვერდზე ჰბეჭდავს: „ოქტომბრისტებს არც პროგრამა აქვთ, არც დისციპლინა. შესაძლებელია ამიტომ მათში განხეთქილება მოხდეს და უმრავლესობა მიემხროს მემარცხენეთ. მაშინ სათათბიროში შესდგება ცენტრი, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს: ქვეყანა ნელ-ნელა შეეჩვევა კონსტიტუციას და თვითმპყრობელობა დაიღუპება. ამის შიშით მემარჯვენეთ ჰმართებთ ერთსულოვნება და ენერგია, რომ ოქტომბრისტები თავის მხარეზე გადმოიბირონ და შეუძლებელი გახადონ საკონსტიტუციო ცენტრის არსებობა". ჭეშმარიტ რუსთა ოფიციოზი „რუსსკ. ზნ.", რაღა თქმა უნდა, ენერგიულად ებრძვის 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომელიც „ურიამ ვიტტემ მოტყუილებით და ძალდატანებით ჩაიგდო ხელში"-ო და რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქმნას მოსპობილიო...

როგორც ჰხედავთ, ნიღაბი ჩამოხსნილია და „გამარჯვებულები" აღარ ფარავენ თავის განზრახვათ. მაგრამ მაგარი ის არის, რომ იგივე გაზეთები და მემარჯვენეთა ლიდერები სხვასაც გაიძახიან. იმავ „ნოვ. ვრ."-ში მესამე გვერდზე ვკითხულობთ: „მემარჯვენეთა და ზომიერთა კრებაზე გუშინ ერთმა გლეხმა (მემარჯვენემ) სთქვა, რომ ბევრი მემარჯვენე წინააღმდეგია სახალხო წარმომადგენლობისა. მაშინ პურიშკევიჩმა, კრუპენსკიმ, მარკოვმა და სხვათ განაცხადეს—ეს ჭორია, რომ თვით უკიდურესი მემარჯვენენიც არ ჰფიქრობენ ახლანდელ წესწყობილების დარღვევასაო". გაზეთი თავის მხრით კადეტებს სწამებს ამ ჭორების გავრცელებას,—ის გაზეთი, რომელიც იმავ №-ის პირველ გვერდზე მემარჯვენეთ იწვევს კონსტიტუციის დასამხობათ! 30 ოქტომბერს „ზომიერ მემარჯვენეთა" ლიდერი ბობრინსკი კრებაზე აცხადებს, რომ იგი გულწრფელი მომხრეა კონსტიტუციისა და ჰპირივით ეზიზღება ჭეშმარიტი რუსები; 31 ოქტომბერს კი ჭეშმარიტ რუსებთან ერთად ებრძვის ოქტომბრისტებს და უსაყვედურებს მათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგობას... 31 ოქტომბერს „რუსსკ. ზნ". სწერს, რომ ნამდვილი რუსი ერთგული უნდა იყოს მონარხისა და რა-კი მეფეს თითონ ჰსურს სახალხო წარმომადგენლობის არსებობა, ჩვენც უნდა დავემორჩილოთო. იმავ №-ის პირველ გვერდზე ჩვეულებრივ დიდის ასოებით სწერია: „ნუ გვექნება ნურავითარი შეთანხმება და ერთობა იმათთან, ვისაც თვითმპყრობელობის შეზღუდვა განუზრახავს"... ერთი გაზეთი და ერთი ლიდერი ამბობს: მონარხის სურვილს უნდა დავემორჩილოთ და 17 ოქტომბრის მა

ნიფესტი უნდა ვიწამოთო; მეორე— წყევლითა და კრულვით იხსენებს ამ მანიფესტს და ამბობს, 6 აგვისტოსკენ უნდა დავიწიოთო, მესამე—კიდევ უფრო შორს მიდის და სავსებით თვითმპყრობელობის აღდგენას მოითხოვს. მეორე დღეს პირველი მეორის აზრს იმეორებს, მეორე პირველისას და სხვა.'.

ასეა მემარჯვენეთა ბანაკში. ხოლო ოქტომბრისტების შორის რა ხდება, კიდევ უფრო გაუგებარია. ოქტომბრისტების ოფიციალური ორგანო „გოლოს მოსკვი" 31 ოქტომბერს ცეცხლს აფრქევს მემარჯვენეთა წინაამდეგ. „მემარჯვენენიო, სწერს გაზეთი, ყოველის ღონით ცდილობენ თვით-მპყრობელობის აღდგენას. შეუდგენიათ მთელი თეორია იმის შესახებ, რომ კონსტიტუცია ძალით წაართვეს და, როგორც ნაძალადევს, მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. უნდათ ჩაგვითრიონ, პროვოკაციის მეოხებით მოუფიქრებელი ნაბიჯი გადაგვადგმევინონ და მერე როგორმე სათათბირო დაჰლუპონ. რეაქცია იზრდება, ნელ-ნელა ძირს უთხრის განახლებულ წესწყობილებას და ამიტომ სიფრთხილე გვმართებს." სწორედ იმ დღეს, როცა ოფიციოზი ასე აფრთხილებს თავისიანებს, ოქტომბრისტების ლიდერები პეტერბურგში უკავშირდებიან იმავ რეაქციონერებს საერთოდ მოქმედებისათვის; მეორე დღეს ოქტომბრისტებსა და მემარჯვენეთ საერთო კრება აქვთ, რომელზედაც გუჩკოვი არწმუნებს რეაქციონერებს: თუ დავრწმუნდით, რომ თქვენი გზა უფრო მართალია, ჩვენც გამოგყვებითო! მესამე დღეს კიდევ ოქტომბრისტები სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგად ირჩევენ „ჭეშმარიტ რუსთა" ერთერთ ლიდერს, თავ. ვოლკონსკი'ს, კონსტიტუციის დაუძინებელ მტერსა და ჰერცენშტეინის მკვლელთა დამცველს. 30 ოქტომბერს მათი კონფერენცია ზომიერ ლიბერალურ დეკლარაციას აცხადებს, მეორე დღეს კი ლიდერები ამბობენ, ამ დეკლარაციით ჩვენ არ ვიხელმძღვანელებთო და მაშინვე მათი საპარლამენტო ფრაქცია ერთი ორად მატულობს; 90 წევრის გარდა შიგ ეწერება კიდევ 50-მდე ახალი წევრი, რომელთა შორის წმინდა წყლის რეაქციონერებიც ბევრია...

ადგილი არა გვაქვს იმდენი, რომ ყველა ამგვარი ფაქტი ამოვიწეროთ. მაგრამ, ვგონებთ, ესეც საკმარისია იმის დასახასიათებლად, თუ რა არევ-დარევა ჰსუფევს „გამარჯვებულთა" ბანაკში. მოდი და გაიგე, რა ჰსურს ამ ხალხს, საითკენ მიდიან, რა მომავალს უმზადებენ რუსეთს? ცხადია მხოლოდ, რომ დიდი უმრავლესობა გულით მოწადინებულია ფეხით გასთელოს კონსტიტუცია, მაგრამ ამავე დროს ეშინია, ყოყმანობს და პირდაპირის იერიშის მიტანას ვერ ჰბედავს. მაშ, როგორ აპირებს მოქმედებას, საითკენ აპირებს გადახრას? ამის გამოცნობა ჯერჯერობით მოუხერხებელია, რადგან დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის პატრონთა ბანკში წარმოუდგენელი არევდარევაა და გამოურკვევლობა. სეფე-სიტყვა პირდაპირ იწვევს სათათბიროს „განახლებულ რუსეთის წეს-წყობილების გასამაგრებლად", სათათბიროს უმრავლესობა კი ამ „განახლების" წინაამდეგია. მიუხედავად ამისა, მთავრობის თვალში „კრამოლნიკები და ბუნტარები" ისინი კი არ არიან, რომელნიც ახლილად ქადაგებენ „აწ არსებულ კონსტიტუციის" მოსპობას, არამედ ისინი, ვინც 17 ოქტომბრის მანიფესტის ნიადაგზე სდგანან და სწორედ „განახლებულ რუსეთის წესწყობილების გამაგრებას" ჰფიქრობენ. ეს რა ამბავია, რა განგაშია?..

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

**სოც. დემ. საპარლამენტო ფრაქცია.** სოც. დემოკრატიულ საპარლამენტო ფრაქციაში ირიცხება 16 კაცი. ნახევარი მუშები არიან, ნახევარი—ინტელიგენტები. მთავარ ორატორად ასახელებენ ტფილისის გუბერნიის წარმომადგენელს კარლო ჩხეიძეს. ამბობენ, ფრაქციის ბელადიც ჩხეიძე იქნებაო.

**ბაასი ხომიაკოვთან.** „რუს. სლოვოს" კორესპონდენტს ხანგრძლივი ბაასი ჰქონია სახ. სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვთან, რომელსაც შემდეგი უთქვამს: „ოქტომბრისტები და მემარჯვენენი არ მორიგებულან და არც მორიგდებიან. ჩვენ ვერც „კადეტებს" მოვურიგდებით და არც არის საჭირო მორიგება. ჩვენი ტაქტიკა ასეთია: ხან მემარჯვენეებს დავუჭერთ მხარსა და ხან მემარცხენეთ. „კადეტებს" ბევრ რამეში დავეთანხმებით და დავეთანხმებით, მაგრამ აგრარულ საკითხში—ვერას დროს".

პოლონეთის ავტონომიის შესახებ ხომიაკოვმა სთქვა: „საქმე ის არის, რაგვარ ავტონომიაზე იქნება ლაპარაკი. თუ პოლონელებმა ისეთი ავტონომია მოითხოვეს, როგორიც ფინლიანდიას აქვს, ისევ ის ემჯობინება, რომ პოლონეთი სრულიად ჩამოშორდეს რუსეთს. იმავე დროს მე, რასაკვირველია, წინააღმდეგი ვარ გარუსების პოლიტიკისა და ნაძალადევ ასიმილიაციისა. ჩემის აზრით, ყოველ ერს უნდა მიეცეს უფლება ეროვნულ-კულტურულ თვითგამორკვევისა. ტყუილი იმედი აქვთ ზოგიერთებს, ვითომ შეიძლებოდეს პოლონეთის გარუსება. ასეთ საქმეზე დახარჯული ჯაფა ტყუილიც არის და საზარალოც, ვინაიდან მას მტრობისა და შუღლის მეტი არაფერი მოსდევს". სასამართლოს რეფორმისა და თვითმართველობის გაფართოვების შესახებ განაცხადა, რომ ის მომხრეა მათი, მაგრამ არ სჯერა, რომ მალე შეიძლებოდეს მათი განხორციელება. მისი აზრით, ბიუჯეტიც ცუდათ არის შედგენილი, მაგრამ სათათბირო წვრილმანებს არ უნდა გამოუდგეს და პირველ იანვრამდე უეჭველად უნდა დაამტკიცოს იგი, ვინაიდან ისევ დამტკიცებული ცუდი ბიუჯეტი სჯობია დაუმტკიცებელ ბიუჯეტს. შეკითხვაც იქნება სათათბიროში, მაგრამ იშვიათად. ხშირი შეკითხვა წვრილმან საქმეებზე ახურდავებს სათათბიროს და ძალას უკარგავს თვით შეკითხვას. ბოლოს კორესპონდენტს უკითხავს: „ოქტომბრისტების ბელადები ხმა მაღლა აცხადებენ, „კადეტები" ჩვენი მტრები არიანო. რას იტყვით ამაზე?" ხომიაკოვს უპასუხნია: „ეგ უბრალო პოლიტიკური ხერხია. აბა სადაური მტრები არიან „კადეტები"? ჩვენ ბევრ რამეში არ ვეთანხმებით იმათ, მაგრამ მტრობის შესახებ ყვირილი გაზვიადებული და განგებ მოგონილი ხერხია. მე დარწმუნებული ვარ, რომ „კადეტები" მშვენივრად იმუშავებენ და დიდ დახმარებას გაგვიწევენ. ასეა თუ ისე, ამ ჟამად ჩემთვის აღარ არსებობს არც ოქტომბრისტი და არც „კადეტი". ეხლა მე უპიროვნო კაცი ვარ. მე დღესვე უნდა შევიტანო განცხადება ოქტომბრისტების პარტიაში იმის შესახებ, რომ პარტიიდან გავდივარ".

„ბირჟ. ვედ."-ის კორესპონდენტს ხომიაკოვმა უთხრა: „მესამე სათათბირო უკანასკნელი ეგზამენია რუსეთის პოლიტიკურ მომწიფებისა. თუ ეხლაც ვერ დავიჭირეთ ეს ეგზამენი, მგონი სათათბიროს ბოლო მოეღება". არა რუსთა შესახებ მან მოკლედ მოუჭრა: სანამ საძირკველი ჩაყრილი არ არის, სახლზე ლაპარაკი ნაადრევია. ამ საკითხსაც თავისი რიგი აქვს. ეხლა ჩვენც იმოდენა საქმე გვაქვს, რომ სხვებზე ფიქრის დროც არ მოგვეპოვება. დაგვაცადონ, ჯერ ჩვენი საქმეები გავათავოთ და მერე იმათზედაც ვიფიქრებთ".

**სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგები.** სახ. სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი დაჟინებით თხოულობდა, რომ მის ამხანაგად დაენიშნათ ცნობილი იურისტი „კადეტი" მაკლაკოვი, რომელიც დიდი მცოდნეა საპარლამენტო ზნე-ჩვეულებისა. არც ხომიაკოვი და არც სხვა ვინმე მემარჯვენეთა შორის საამისოდ მომზადებული არ არის. ეს საქმე განიხილა „კადეტთა" ფრაქციამაც და დაადგინა, წამოაყენოს კანდიდატურა მაკლაკოვისა. ზოგი „კადეტი" ამის წინააღმდეგი იყო. ისინი ამბობდნენ, სათათბირო უიმედოდ უძლურია. რათ უნდა მივაშველოთ მაკლაკოვი? დაე ოქტომბრისტებმა მთელ ქვეყნის წინაშე დაამტკიცონ თავიანთი უმეცრება და უვიცობაო. მაკლაკოვს მაინც დაუდგეს ყუთი და გააშავეს. როგორც ვიცით, აირჩიეს ერთი მემარჯვენე და ერთი ოქტომბრისტი: ბარონი მეიენდორფი და თავადი ვასილჩიკოვი.

**იმპერატიული მანდატი.** ლიტვის ამომრჩეველებმა თავიანთ დეპუტატს ბულატს შემდეგი მანდატი მისცეს: 1) სახელმწიფო სათათბიროში ყოველთვის დაიცავით მთავრობის საწინააღმდეგო ჯგუფები; 2) ყოველთვის დაიცავით ლიტველების ინტერესები; 3) მოითხოვეთ ლიტვის ავტონომია და სუვალკის გუბერნიის შემოერთება; 4) დარჩით დამოუკიდებელი და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიეკედლეთ რომელიმე პარტიას.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **მოხელეების დათხოვნა.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან ამ ორი წლის წინად მომხდარ გაფიცვებისთვის ასს მოხელემდე დაითხოვეს. ზოგი პასუხის გებაშიც მისცეს. სამსახურიდან დათხოვნილმა მოხელეებმა შემდეგში ითხოვეს უკანვე მიღება. ამას წინააღუდგა ჟანდარმთა სამმართველო, მაგრამ ვერა გააწყო რა, რადგან რკინის გზის სამხედრო უფროსმა ნეიგებაუერმა მიიღო ისეთი მოხელენიც, რომელნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი. ამ დღეებში პეტერბურგიდან გზათა სამინისტროს მოწერილობა მოვიდა—დაუყოვნებლივ დაითხოვეთ უკან მიღებული და არ გამართლებული მოხელენიო. ამ რიგად დაითხოვეს საქონლის სადგურის უფროსი ქავთარაძე, მოხელენი კობიაკოვი, დანდუროვი და სხვანი, სულ 100 კაცამდე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების გამგეობა მხნედ მუშაობს. გამგეობამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში 7 სკოლა დაარსა მოზრდილთათვის. ამ სკოლებიდან ორი თათრულია, ერთი ქართული, ერთი სომხური, ერთი ებრაული, ერთი ოსური, და ერთი რუსული. სკოლებში იღებენ ყველას (დიდებსაც 40 წლამდე), ვისაც წერა-კითხვის შესწავლა სურს. ამ ჟამად აღნიშნულ სკოლებში სწავლობს 500 კაცზე მეტი. სამწუხაროდ, ამ სიმპატიურ საზოგადოებას მუდმივი წყარო არა აქვს, რომ უფრო ფრთა გაშალოს. საზოგადოება სცოცხლობს მხოლოდ იმ 1000 მანეთით, რომელიც მიიღო ტფ. თავადაზნაურობისაგან და იმ ფულით, რომელიც ლექციებიდან შემოსდის. ამას წინად გამგეობამ სთხოვა ქალაქის თვითმმართველობას, დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ აქამდე პასუხს ვერ ეღირსა. კარგი იქნება, ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს ახალმა საბჭომ.

✦ **პოლიციელების ჭრა.** 6 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვაგზლის ქუჩაზედ უბნის ზედამხედველს ფატალი-ბეკოვს შეუნიშნავს 6 კაცი. პოლიციელს უცნობნი საეჭვო კაცებად მიუღია, დაუპატიმრებია და პოლიციაში წაუყვანია. აქ ერთს წარუდგენია პასპორტი არქიპ სვანიძის სახელზე. შემდეგ ეზოში გასულა და მიმალულა. ფატალ-ბეკოვი გამოსდევნებია სვანიძეს, გოგოლის ქუჩაზე დაუპატიმრებია და ხელ-ახლა წამოუყვანია. როდესაც მიახლოვებიან ვაგზლისა და ანდრეევის ქუჩის კუთხეს, სვანიძეს უბიდან რევოლვერი ამოუღია, დაუხლია ფატალ-ბეკოვისა და იმის მცველ აბდულ-ოღლისათვის და გაქცეულა. პოლიციელებს დაუწყიათ სროლა, მაგრამ სვანიძე მიმალულა. აბდულ-ოღლი მუცელშია სასიკვდილოდ დაჭრილი, ხოლო ფატალი-ბეკოვი—ფეხში.

✦ **პოლიციელის მოკვლა.** პოლიციის მე-6 ნაწილში 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ, სამსახურიდან სახლში მიდიოდა გოროდოვოი ნიკოლოზ კაზეევი. სურფ-სარქისის ქუჩაზე ვიღაც უცნობები დასცემიან, რამდენჯერმე რევოლვერი უ'როლიათ და იქვე მოუკლავთ. პოლიციამ ამავე დღეს ეჭვი მიიტანა ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეულ მარტიროს სარუხანოვზე, რომელიც დააპატიმრეს.

✦ **სახალხო კონცერტი.** საუნივერსიტეტო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, 21 ნოემბერს ზუბალაშვილის სახალხო სახლში გამართოს სახალხო კონცერტი ინტერნაციონალურ ხასიათისა. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების ხორო, მგალობელთა გუნდი, საოპერო არტისტები და სხვანი. ბილეთები ეღირება 5 — 10 კაპ.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს სპარსელი მოსეს მალხასიანცი, რომელსაც ბდუსი უგურლიევის მოკვლა ჰბრალდებოდა. ორენბურგის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე ჰგზავნიან დუშეთის მაზრელთ კოტე, ვასო და ძმება თადიაშვილთ. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა გრიგოლ ტერ-ყაზაროვს. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისთვის გადაუწყვიტეს დაპატიმრება: სამის თვით—ვასილ კურტანიძეს, სამსონიშვილ'ს და გელაშვილს, ორის თვით—ვეტცელის ქარხნის მუშას ალ. თავაძეს.

✦ **რედაქტორის საქმე.** ტფ. ოლქის სასამართლომ 6 ნოემბერს განიხილა საქ-

---

# ფელეტონი

## ქუჩის ზღაპრებიდან

**მოთხრობა**

**არტურ გალიჩერისა.**

რა ვარ მე? ქუჩის გოგო, გარიყული. მამაკაცნი მთელ თავიანთ ზიზღს და მძულვარებას ჩემზედ ანთხევენ, ჩემი ხვედრი-კი მონური მოთმინებაა, რადგან ყველა ამისთვის ფულს იძლევიან. არ მიყვარს, როდესაც ამეკვიატებიან პატარა ბიჭ-ბიჭუბი ან გაუმაძღარი, ავ ხორცი მოხუცნი. მე მსურს ვიგრძნო ჩემი ბედი, რაგინდ დაუნდობლად მაწამებდეს—ადამიანიც ამიტომა ვარ. ვიცი,—ყოველივე ეს რომ სხვამ პირში მითხრას, სათაკილოდ დამრჩება. მარტოობაში ხშირად ვეუბნები თავს: „შენ ადამიანი ხარ; ადამიანი ხარ, მიუხედავად ყველაფრისა". ამაზედ ტირილს თავი მივანებე. მაგრამ, მიბრძანეთ, რითი ვიარსებო?

ამ დღეებში ჩემთან შემოიარა ერთმა კაცმა, რომელსაც ძლიან უნდოდა მწუხარე ვენახე. მითხრა—ტუჩები მომეკუმშა, თვალები ნახევრად მომეხუჭა, მიმეღო ნამძინარევი სახე და მეცქირნა იმისთვის. თვითონ ჩამოჯდა სკამზედ ჩემს პირდაპირ და დიდხანს მიყურებდა. შემდეგ ჩუმად და მოწიწებით დაიწყო ლაპარაკი. მაშინვე შევნიშნე, რომ მე არ მელაპარაკებოდა: ის მხოლოდ ჩემს ოთახში იჯდა, სულით და გულით-კი სხვასთან იყო, სხვა ქალთან. და აი ეს სხვა მე უნდა წარმომედგინა იმისთვის. მეც ვიჯექ გაუნძრევლად. როდესაც თავი ჩემს მუხლებ-შუა ჩასდო, დაუწყე თმაზედ ალერსიანად ხელის სმა, რის შემდეგაც მაკოცა. ამ წამების განმავლობაში თვალები სულ დახუჭული ჰქონდა. წასვლისას მომცა ფული, იმაზედ მეტი, რასაც ჩვეულებრივ მაძლევდნენ და ერთიც გულიანათ მაკოცა შიგ ტუჩებში, თითქოს ისეთი პირი მქონდეს, როგორც სხვებსა აქვთ, შექმნილი იმისთვის, რომ ვამბობდე სიტყვებს ან სასიხარულო რამეს...

უკვე სამჯერ იყო ჩემთან და ერთხელაც არ დაათვალიერა ჩემი საბრალო ოთახი, არ დაუკვირდა ჩემს ღარიბ სამკაულს, რომელშიაც ველოდებოდი ქუჩაში და რომელსაც ვცდილობ სწრაფად გავიძრო, როდესაც-კი მარტო ვრჩები. ერთხელ ისეთი რამ ვუთხარი, რომ ალტაცებით დამიწყო ცქერა. გავიფიქრე: ალბად ჩემი ხმაც წააგავს იმ ქალის ხმას, რომელიც მას უყვარს. ეს მახარებდა, და ძლიანაც ვამაყობდი ამით, რადგან ჩემთვის იმ ქალების ხმებზედ შესაზარი არა იყო რა, რომელნიც ჩემთან ერთად ქუჩებში უცდიდნენ მუშტარს...

იმ კაცზედ არავიცოდი რა გარდა იმისა, რომ იგი კოხტად გამოწყობილი იყო და ლამაზი სუფთა ხელები ჰონდა. სხვებს არაფრით არა ჰგავდა. დიდის სიამოვნებით ვუგდებდი ყურს იმის ლაპარაკს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მახსოვდებოდა, თუმცა ძლიან კარგად მესმოდა, როგორ ამიწერდა თავის ცხოვრებას. ჩემთან ბევრი იმისთანა რჩებოდა. ვისაც საუბარი უყვარდა მაგრამ უმთავრესად ებაასებოდნენ ვიღაც უხილავ მტრებს, რომელთაც ძალზე ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ... სულ სხვა იყო ეს ჩემი სტუმარი.

ერთხელ მკითხა, მყავს თუ არა ბავშვი. პასუხი არც-კი მიმიცია, რადგან ვიცოდი მე იმისთვის „მე"-კი არა, სულ უცხო ვიყავი. მხოლოდ როდესაც მეხვეოდა, მე ისევ ჩუმად ვრჩებოდი, რადგან ჩემში ხომ სხვა ქალი იყო, რომელსაც იგი ეტრფოდა. მაგრამ როდესაც ერთმანეთი გვიყვარდა, მაშინ აღარავის წარმოვადგენდი, უბრალოდ ვეძლეოდი, ისეთი, როგორიც ვიყავი. ასე ვატყუებდი მას.

ხშირად ვამბობდი—ნეტავი-კი არ დავკარგო მეთქი. მეეჭვებოდა, რომ ჩვენი ასეთი ყოფა დიდხანს გაგრძელებულიყო. ვოცნებობდი: აი, ერთხელ როდისმე მოვა ჩემთან და ახალ-გაზდა ქალები ეტყვიან, რომ მე მოვკვდი და კიდევაც დამმარხეს. ყოველთვის, როდესაც მშორდებოდა, ჩემ თავს ვეუბნებოდი: კარგად უცქირე, იქნება ამაზედ მეტად ვეღარ იხილოო. ბოლოს და ბოლოს ცოტას მელაპარაკებოდა და უფრო ცოტას მიცქეროდა. უკანასკნელ ნახვის დროს კიდეც გამარტყა. სლუკუნებით არა მტკენია. ვტიროდი, მხოლოდ სიხარულით. ისიც, როგორც პატარა ბავშვი, მიბრუნდა კედლისკენ და დაიწყო ტირილი. აქ ძლიერ შერცხვა თავის საქციელისა. ეგონა, ვითომ მე შემშინებოდეს. წასვლისას ხელი გამომიწოდა გამოსამშვიდობებლად და ისეთის სახით დამაკვირდა, თითქოს პირველად მხედავდა. მე თუმცა გავიფიქრე, რომ უკანასკნელი ნახვა იყო, მაგრამ არ მინდოდა ამ აზრს შევრიგებოდი.

რამდენი ხანია იგი აღარა სჩანს! ნეტა რა ამბავია იმის თავსა. მეშინიან ამაზე ვიფიქრო. თვითოეული ნაკვთი იმის სახისა კარგად მახსოვს, მაგრამ მთლად კი ვერ წარმომიდგენია. ვზივარ სარკის წინ პირ-მოკუმული, მწუხარე და ვცდილობ, ვიფიქრო იმაზედ-კი არა, იმ ქალზედ. მუდამ ვფიქრობ **იმაზედ**, ვისაც ასე ძლიერ მამსგავსებდა, ტუჩებ-მოკუმულს და თვალებ ნახევრად დახუჭულს.

გადავედი მეორე უბანში, და, ვინ იცის, როგორ გახურებული დამეძებს! ისინიც აღარ მოდიან ჩემთან, ვინც წინად მიცნობდნენ. ეს კი კარგია.

შემნახველ კასიდან გამოვიტანე 800 კრონა*) „სამუშაო" ტანისამოსიც გავყიდე; მაგრამ ჩემს გარეგნობაში, ჩემს სიარულში მაინც დარჩა კიდევ იმისთანა რადაც, რომ ჩემდა უნებურად ხალხის ყურადღებას ვიპყრობ, როდესაც ქუჩაში დავდივარ. ეს ძალიან მწყინს, რადგან მთელს დღეებს ქალაქში სიარულს ვანდომებ, ვეძებ—ვეძებ რადაცას, რას—მე თვითონაც არ ვიცი.

მაგრამ არა—ვიცი, ეხლა ვიცი. გუშინ თვალი მოვკარ იმ ქალს. მაშინვე ვიცანი. სწორედ ისეთი სახე აქვს, როგორიც მე. იგი გადმოხტა ეტლიდან და გაემართა მოდის მაღაზიისკენ. მხიარულია, თეთ-გვრემანი, როგორც მე; ჩემის ტანისა, ჩემისთანავე წვრილი კისერი აქვს, ნამძინარევი სახე და ტუჩებიც მაგრად ჰქონდა მოკუმული. მხოლოდ ძალზედ ფერმკრთალი სახე ჰქონდა, თვალებს თითქოს არა ჰსურთ დაინახონ დღის შუქი და პირიც იმისათვის აქვს მოკუმული, რომ საიდუმლო რამ არ გასცესო.

ის ქალია, ვთქვი ჩემს გულში. და ისევ იმნაირმა შიშმა შემიპყრო, როგორც მაშინ, როდესაც იგი უკანასკნელად მემშვიდობებოდა. შევყევი მეც მაღაზიაში, დავდექ იმის ახლოს და დავუწყე თვალიერება საქონელს. ვამჩნევ, ნოქრები გაკვირვებულნი გვაცქერდებიან ორივეს. თავხედურად იცინიან და თან ერთმანეთს თვალებით ელაპარაკებიან. მაგრამ ყოველივე ეს ჩემმა ქალბატონმა ვერ შეამჩნია. შემდეგ თვით კასირ-ქალისაგან გავიგე იმის გვარი. ახალ ტანისამოსში შესაფერი შეხედულება მომეცა. როსკიპი აღარავის ვეგონებოდი. ეხლა უფრო გაბედულს ვემსგავსები. გუშინ ვიყავი იმ ქალის სანახავად, მაგრამ მითხრეს, არავის იღებსო. მოვკიდე ხელი ზარის ჩამოსარეკ ტარს, იმ ტარს, რომლისათვისაც არა ერთხელ მოუკიდნია თავისი ლამაზი ხელი იმ ჩემ მეგობარ კაცს. მოულოდნელად დავსუსტდი, ძალა გამომელია. ძლივს წავილაპარაკე, რომ ორიოდ-დღის შემდეგ შემოვივლი-მეთქი. მოახლე ქალი მოვატყუე, საქმის საშოვნელად მასთან მომასწავლეს მეთქი.

მე მსურს ხელობა შევისწავლო, იქნება ამით მაინც შეიძლებოდეს არსებობა. ხვალ-ზეგ უნდა შევიარო ჩემის ქალბატონისაკენ და რადაც უნდა დამიჯდეს მისი ნახვა, უნდა ვნახო და ვკითხო ჩემი სატრფოს ამბავი.

დღეს კიდევ ვიყავი იმასთან. ღმერთო ჩემო, რა გამოვცადე! შევდივარ ოთახში. ის ქალი საწერ სტოლთან იჯდა. შემეკითხა, ვინ გამგზავნა მასთან. პასუხის მიცემაც ვერ მოვასწარი, რომ ძალზედ ჩამაცქერდა სახეში და გაშეშდა. სჩანს, ჩვენში რამე მსგავსება დაინახა. მე უფრო

*) კრონა უდრის ორ აბაზს.

მე სომხურ გაზეთ „მშაკის“ რედაქტორის ა. ა. ქალანთარისა, რომელსაც ჰბრალდებოდა გაზეთში საყოველთაო გაფიცვის შესახებ მოწოდების დაბეჭდვა სასამართლომ ქალანთარი 15 მან. დააჯარიმა.

✦ **ლექცია**. დღეს, 8 ნოემბერს, პირველ გიმნაზიის სადგომში ვ. ი. რცხილაძე წაიკითხავს პირველს ლექციას ფიზიკიდან.

✦ **საოპერო წარმოდგენა**. დღეს, 8 ნოემბერს, სახაზინო თეატრში დადგმული იქნება გლინკას ოპერა „ევგენი ონეგინი“. მეორე ხარისხოვან როლებსაც პირველი არტისტები შეასრულებენ. შაბათს ბენეფისია მახინისა.

✦ **მასწავლებელთა კრება**. 10 ნოემბრისთვის დანიშნულია კრება ქართველ მასწავლებლებისა. კრებაზედ სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის წარმომადგენელნი აღძრავენ საკითხს ქართულ სახალხო ლექციების სისტემატიურად მოწყობის შესახებ.

✦ **საუნივერსიტეტო საზოგადოების სასარგებლოდ**. ტფ. სახალხო საუნივერსიტეტო საზოგადოების გამგეობა 17 დეკემბერს, თავის ქონების გასაძლიერებლად გამართავს საოპერო წარმოდგენას. გამგეობა გამართავს აგრეთვე ბალს. გამგეობამ გადასწყვიტა აგრეთვე, სთხოვოს ცირკის პატრონს ნიკიტინს, ერთი წარმოდგენა საზოგადოების სასარგებლოდ გამართოს.

✦ **მეღვინეობის გამაუმჯობესებელი საშუალებანი**. ნამესტნიკის დავალებით ნამესტნიკის კანცელარიის ვიცე-დირექტორმა სთხოვა კავკ. სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, დაიჩქაროს თავის მოსაზრების წარდგენა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს კავკასიაში მეღვინე-მევენახეობის საქმის გაუმჯობესებას. 1899 წლიდან ამ საკითხის გამო რამდენჯერმე მოხდა სპეციალისტების კრება. არის რამდენიმე გამოცემაც, სადაც დაწვრილებითაა აღნუსხული ყველა ის საშუალება, რომელიც გააუმჯობესებდა ჩვენში მეურნეობის ამ უმთავრეს დარგს.

✦ დღეს, 8 ნოემბერს, საღამოს შვიდ საათისთვის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა' დ. სარაჯიშვილის სახლი), დანიშნულია ჩვეულებრივი კრება „ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“. კრებას შეუძლიან დაესწრონ არაწევრნიც. კრებაზე მოხსენებას წაიკითხავენ: ე. თაყაიშვილი, დავ. კარიჭაშვილი („დავით კუროპალატის გენეალოგია“ და („სუმბატიანის ქრონიკის“ ავტორის ვინაობა), მღ. პ. კარბელაშვილი (ამილახვრიანთ სიგელ-გუჯრები) და ს. გიორგაძე (ეგრეთ წოდებულს „ორ-მეფობის“ ხანაზე ძველ საქართველოში).

✦ ოთხშაბათ 7 გიორგობისთვეს, ძველ თუმანოვის ქუჩაზედ გაუტეხიათ ისაკ მამასახლისოვის სახელოსნო, შეუკრავთ სამუშაო იარაღი, მაგრამ წაღება ვერ მოუსწრიათ, წაუღიათ მხოლოდ საათი და წვრილმანი იარაღი. იქვე ახლო გაუტეხიათ სერგო ჯანინოვის საწვრილმანო, მაგრამ იქიდანაც ვერაფრის წაღება ვერ მოუსწრიათ, გარდა სამი პაჭკა ასანთისა.

✦ 6 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ველიამინოვის ქუჩაზედ მეწვრილმანეს მურად ბაბაევს ვიტამაც კარზე დაურახუნა. როდესაც ბაბაევმა გააღო კარი, დუქანში შევარდა ვაჭარი გეურქ ხეჩატუროვი და დასჭრა ორგან. ხეჩატუროვი დააპატიმრეს.

✦ 6 ნოემბერს ღამე მიხეილის პროსპექტზე ავეჯეულობის მაღაზიის „იკონ“-იდან ქურდებს მოუპარავთ 15 დუჟინი სკამი.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ხონი და მისი მიდამო განთქმულია სწავლისა და ცოდნის მოყვარეობით. სასწავლებელი ხომ არსად არ არის იმდენი, რამდენიც ხონის საზოქალოშია. მარტო კუხის საზოგადოებაში ამ ჟამად შვიდი სასწავლებელი ითვლება; მაგრამ ესეც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამიტომ სოფელ გუბის მცხოვრებთ განუზრახავთ სასწავლებლის დაარსება. შენობის ასაგებად მზრუნველთ აზრადა აქვთ ხელის მოწერა გამართონ. გეგმა შენობისა უკვე მზად არის; ხარჯთ-აღრიცხვით საჭიროა 6.000 მანეთი.

✦ ქართულ გიმნაზიის შენობის ხარჯთ-აღრიცხვა უკვე წარუდგინა ინჟინერმა სახაროვმა გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტს. ინჟინერ სახაროვის მოსაზრებით, შენობის ასაგებად საჭიროა 167 000 მანეთი. თავად-აზნაურობას ამ ჟამად აქვს 20 ათასი მანეთი. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ამ ფულს მიემატება უმაღლესად გადადებულ ფულიდან 20.000 მანეთი. თუ, როგორც ბევრი ფიქრობს, სასტიპენდიო ფული შენობის ასაგებად არ გადაიდო, შენობის დამთავრება მეტად გაძნელდება.

✦ თანახმად ქალაქის გამგეობის მოწოდებისა, სასკოლო კომისიამ შეადგინა მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც სწავლა განათლების საქმეზე უნდა დაიხარჯოს 16.000 მანეთი. თუ ჩამოვაცლით შემთხვევით შემოსავალს, მაშინ წლიური ხარჯი ქალაქისა სწავლა-განათლების საქმეზე 12%-ით მეტი იქნება.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭო გადავიდა ძველ შენობიდან თავ. ერისთავის სახლში ივანოვის ქუჩის დასაწყისში, ბულვარის მახლობლად.

✦ პირობის ქაღალდს ქალაქის ქუჩების განათების შესახებ უკვე მოაწერეს ხელი ქალაქის გამგეობამ და მ. ლაღიძემ და კომ. უკანასკნელი ვალდებულია ხელის მოწერიდან 8 თვის განმავლობაში მოაწყოს ჰიდრო-ტეხნიკური და ელექტრონის სადგური ქუთაისის მახლობლად. აქ მიღებულ ენერგიით უნდა გაანათოს ქუჩები ელექტრონის ფარნებით; თითო ხუთას სანთლიან ფარანში მ. ლაღიძეს მიეცემა თვიურად 11 მანეთი, ხოლო ათას სანთლიანში—15 მანეთი. ქალაქი ვალდებულია 100 ფარნის მოწყობაში ლაღიძეს მისცეს 20.000 მანეთი ამ ვადებით: როცა მასალას მოიტანს ქუთაისში—2000 მანეთი, ხოლო ფარნების დადგმის შემდეგ—2500 მანეთი; დანარჩენ ფულს ქალაქი იხდის ვადით 6, 8, 10 და 12 თვიანი ვექსილებით. პირველ ხანად მ. ლაღიძემ უნდა დადგას 100 ფარანი, თუ ქალაქს მეტი დასჭირდა, უნდა აცნობოს სამი თვის წინად. ლაღიძეს უფლება აქვს ელექტრონის ენერგია კერძო აბონენტებს აძლიოს, მაგრამ კილო-უატზე საათში 40 კაპეიკზე მეტს ვერ გადაახდევინებს. ხელ-შეკრულების შეურყეველ ასრულებისთვის, მ. ლაღიძემ წარუდგინა ქალაქის გამგეობას 2000 მანეთის გირაო. ამ ნაირად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეიდან 8 თვის განმავლობაში ელექტრონის სინათლე გვექნება, თუ მთელ ქალაქში არა, იმ ქუჩებში მაინც, სადაც უფრო მეტი მოძრაობაა.

✦ რკინის გზის გამგეობის სიძუნწე, როცა საქმე ჭიათურის გაუმჯობესობას შეეხება, საარაკოა. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ჭიათურა ყოველ წლივ იძლევა დიდ მოგებას. როცა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მორიგებით, ელექტრონით გაანათეს მარგანეცის პლატფორმები, მრეწველთა საბჭომ სთხოვა რკინის გზის გამგეობას, პლატფორმებთან ერთად გაანათეთ რკინის გზის ლიანდაგის გადასავლელი ადგილები, რომ მოსიარულეთ კუნაპეტში არ იარონო. ასეთი კანონიერი და ადვილად დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილება რკინის გზამ არ შეიწყნარა და ხალხი იძულებულია იაროს სიბნელეში. ამას კაცი გაუძლებდა, მაგრამ არც სხვა მხრით აკმაყოფილებს რკინის გზის გამგეობა ჭიათურელთა საჭიროებას. ლიანდაგი ერთად-ერთი გზაა, რომლითაც ხალხი დაიარება და ძნელი წარმოსადგენია ის სიბინძურე, რომელიც იქ არის. ისე ფეხს ვერ გადადგამთ, რომ წუმპეში არ ჩაიფლოთ და ამიტომ მგზავრი იძულებულია მადნის გორებზე იმოგზაუროს. კარგია, თუ აქაური კაცი ხართ და გზები იცით, მაგრამ თუ უცხო კაცი მოხვდა ამ გზებზე, ვერ გადარჩება თავიდან ფეხამდის გასვრას. ნუ თუ მეტი ყურადღების ღირსი არ არის ჭიათურა, რომელიც რკინის გზას ერთ მილიონ შემოსავალს აძლევს.

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

**ქ. განჯა**. აქაურმა ქართველებმა განიზრახეს თავიანთ წვლილის შეტანა ილია ჭავჭავაძის სახელობაზე დაარსებულ ფონდში. 21 ოქტომბერს შეიკრიბნენ ადგილობრივი ქართველები, რომელნიც პატივსა სცემენ განსვენებულის ხსოვნას და მოილაპარაკეს ამ საქმის შესახებ. კრებამ დაადგინა: ყველა ისინი, რომელნიც მოისურვებენ წრეში ჩაწერას, მოვალენი არიან იხადონ ყოველ თვიურად, დაწყებული პირველ ოქტომბრიდან, თითო % მთელის ჯამაგირისა. ამ დადგენილებას ჯერ ჯერობით ხელი მოაწერეს: პ. ი. გვერდწითელმა—5 მ., (ნახევარი წლის ხვედრი ფული 30 მანეთი უკვე შემოიტანა), მ. პ. სარაჯიშვილმა—1 მ. 50 კ., ი. ბ. ლორთქიფანიძემ—2 მ., კ. ნ. ოდიშარიამ—40 კ., ა. ი. ამბოკაძემ—1 მ., პ. მ. ჩარექოვმა—1 მ., მღვდ. კ. მ. სუხიაშვილმა—1 მ. (ერთი წლის შემოსატანი ფული 12 მ. უკვე შემოიტანა), მ. ბ. ავალიანმა—1 მ. 50 კ., კ. ი. შავლაძემ—1 მ., თავ. მუხრანსკიმ—1 მან., პროვიზორმა ჩინიჯიშვილმა—1 მ., ექიმმა კლ. კ. თოფურიამ—1 მ. 20 კ., ს. ვ. მაჩაბელმა—1 მ. 50 კ., ნ. გ. მჭედლოვმა—1 მ., ლ. გ. ხარაძემ—1 მ., ტ. გ. ხარაძემ—1 მ., დ. ვ. ასანიძემ—1 მ. 50 კ., თავ. ვ. წულუკიძემ—1 მ. 80 კ., ვ. შიუკაშვილმა—50 კაპ., გ. თ. კვახაძემ—50 კ., ი. წულუკიძემ—1 მ., ე. დ. ივანოვისამ—50 კ., ნ. კანდელაკმა—30 კ., გ. დ. მაჭავარიანმა—25 კ. და მ. ს. ზედგინიძემ. ჯერ ჯერობით ჩაწერილია 25 კაცი, რომელთა თვიური შემოსატანი უდრის 28 მ. 45 კ. (გარდა ბ. ზედგინიძეს შემოსატან ფულსა). შემდეგში, იმედია, სხვებიც ჩაეწერებიან და თანხა გადაიდება. შემდეგ კრებამ თათბირი იქონია განჯაში საქველ-მოქმედო საზოგადოების დაარსების შესახებ. კამათის შემდეგ კრებამ, ხმის უმეტესობით, დაადგინა შემდეგი, თანახმად ბ-ნ ნამესტნიკის მიერ დამტკიცებულ წესდების მე-19 პარაგრაფის ძალით, ეთხოვოს ტფილისის ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას, გახსნას ქ. განჯაში ფილიალური განყოფილება. კრებამ აირჩია ამ ორივე წრის გამგე-ხაზინადრებად ქ-ნი პ. ი. სარაჯიშვილისა და კ. ნ. ოდიშარია. ბოლოს კრებამ დაავალა კ. ოდიშარიას, გაუგზავნოს ტფილისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს წერილი ქ. განჯაში ფილიალურ განყოფილების გახსნაზე, რაც მეორე დღესვე შესრულებულ იქნა.

გ. მარჯვილიძე.

## წერილი ტომსკიდან.

20 ოქტომბრის კრება.—თავდასხმა და ოცი ათას მანეთის გატაცება.—დაპატიმრება.

ტომსკისთვის დაბრუნდა წინანდელი დრო. როგორც წინად სდევნიდნენ შავი ძალები ინტელიგენციას და სტუდენტობას, ისე ეხლა. ისე დღე არ გაივლის, რომ რომელსამე სტუდენტს არ სცემონ და არ გაცარცვონ. ორი შემთხვევა იყო ისეთი, რომ სტუდენტები მოჰკლეს კიდეც.

მოახლოვდა ოქტომბრის დღეები და სტუდენტობასაც დაეტყო მღელვარება. არც გასაკვირველია, რადგან შარშან-წინ, ამ დროს, ბევრი სტუდენტი გამოასალმეს სიცოცხლეს (დასწვეს თეატრი, სადაც მიტინგი იყო). კრებაზედ, რომელიც მოხდა სატეხნოლოგო ინსტიტუტში, ერთხმად მიიღეს სოც.-რევოლიუციონერთა რეზოლიუცია, რომელიც ამბობდა, რომ საჭიროა 20 ოქტომბერს შევწყვიტოთ სწავლა, ერთად შევიკრიბნეთ, მოვიგონოთ ამხანაგები და ამით პატივი ვცეთ იმათ ხსოვნასაო. მართლაც 20 ოქტომბერს დაიწყო სტუდენტობამ ინსტიტუტში დენა. თერთმეტ საათისთვის შეიკრიბა 800 კაცამდე. კრება გაიხსნა ინსტიტუტის პირველ აუდიტორიაში სიმღერით: „თქვენ მსხვერპლნი გახდით უდმობელ ბრძოლის“. ცოტა ხნის შემდეგ იმდენი ხალხი მიაწყდა ინსტიტუტს, რომ ადგილი აღარ იყო და იძულებული გახდა კორიდორში დამდგარიყო. ბევრი იყო როგორც სტუდენტობა, ისე გარეშე ხალხი და, როგორც ამბობენ, სალდათებიც ერივნენო. კრებაზე ლაპარაკობდნენ მეტწილად სოც.-რევოლიუციონერთა ორატორები. მაგრამ ეს კრება სამწუხაროდ დაბოლოვდა. ასე ორი საათი იქნებოდა, უცბად გაისმა რევოლვერების ხმა. თურმე ამ დღეს ინსტიტუტის ხაზინადარს მოუტანა 20 ათასი მანეთი ინსტიტუტის საჭიროებისთვის. ის იყო უნდა შესდგომოდა ფულის დარიგებას, შევარდა 8 შეიარაღებული კაცი და მიაძახა: „ხელები მაღლაო“. შემდეგ მოსთხოვეს ხაზინადარს კასის გაღება და ფულის გადაცემა. ხაზინადარმა მართალია გააღო კასსა, მაგრამ, ფულის მაგიერ, რევოლვერი ამოიღო და დაიწყო სროლა. ექსპროპრიატორებმაც პასუხი გასცეს რევოლვერებით. შედეგი ის იყო, რომ სასიკვდილოდ დასჭრეს ხაზინადარი (უკვე გარდაიცვალა). ამის შემდეგ ინსტიტუტს შემოარტყეს ჯარი და პოლიცია და შეუდგნენ ჩხრეკას. [illegible] უნივერსიტეტსა ან ინსტიტუტში შესასვლელი მოწმობა ჰქონდა, იმას უშვებდნენ, რომელსაც არა, იქვე აჩერებდნენ. დაიჭირეს სამოც სტუდენტამდის და გარეშე ხალხი. ჩხრეკა გაათავეს საღამოს 9 საათზედ, შემდეგ შეპყრობილნი საპყრობილეში გაგზავნეს.

გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ინსტიტუტი დაიკეტა სამის დღით. რექტორმა და დირექტორმა არავითარი ზომები არ მიიღეს დაჭერილთა განსათავისუფლებლად. სამი დღის განმავლობაში გამუდმებული ჩხრეკა იყო სტუდენტების კერძო ბინებში. აპატიმრებენ ბევრს, მაგრამ მეტწილს ისევ ანთავისუფლებენ. დააპატიმრეს ბევრი კავკასიელი, რადგან ვიდაც უთქვამს პოლიციისთვის, მძარცველები შავგვრემანი ხალხი იყოო. ეს საკმაო იყო პოლიციისთვის, რომ დაეჭირა კავკასიელები, მაგრამ, ორიოდეს გარდა, თითქმის ყველანი გაანთავისუფლა.

ქალაქში ხმა დადის, რომ შესაძლებელია ინსტიტუტის დირექტორი გადაასახლონ, რადგან მან ზომები არ მიიღო სტუდენტთა კრების წინააღმდეგაო.

ბზიკი.

## ეპისკოპოსი გრიგორი.

ამას წინად „ისარ“-ში დაიბეჭდა მარტვილიდან კორესპონდენცია, რომლის ბოლოშიაც მოწერილი იყო შემდეგი: «ამავე დღეს დაკრძალეს გარდაცვალებულის ეპისკოპოსის გრიგორის გვამი». ამის წაკითხვაზე უნებლიეთ გამახსენდა ერთი საღმრთო საგალობელი: «ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე კაცობრივი... სადა არს ოქრო, განა ვერცხლი, მონათა სიმრავლე და ამბოხი‘‘. დიახ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი, ერთდროს ძლევა-უფლებით მოსილი, მეგობარ-თაყვანის მცემლებით გარემოცული, ,,ბატონად‘‘ წოდებული გრიგოლ გარდაცვლილა და ერთი მოჭირნახულე არ აღმოუჩნდა, რომ იმის აღსასრულის ამბავი უბრალო სამგლოვიარო განცხადებით მაინც ეუწყებინა ქვეყნისათვის. მაგრამ აქ გასაკვირველი არა არის რა. ყალბ საფუძველზე დამყარებული მეგობრობა უიმედოა. პირმოთნეობით ნაკმევი გუნდრუკი ყნოსვას ვერ დაატკბობს. ბოლო აგვირგვინებს საქმესაო, ამბობდნენ ძველი რომაელები, და ვინც გრიგოლ ეპისკოპოსის ცხოვრებას იცნობდა, იგი უეჭველია დამეთანხმება, რომ იმის ცხოვრების ბოლო ასეთი უფერული და უპატიო უნდა ყოფილიყო.

თუმცა მეორე რომაული ანდაზა ამბობს, რომ მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვა ან სულ არაფერიო, მაგრამ ამ ანდაზის გამოთქმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დროა ავს ავი ვუწოდოთ და კარგს კარგი, სულ ერთია, ცოცხალზეა ლაპარაკი თუ მიცვალებულზე.

გრიგოლ ეპისკოპოსი ცოცხალი მაგალითი იყო იმისი, თუ რა ნაყოფს მოიტანს სათნოების ნიღაბ გადაფარებული ანგარება. მისი მოქმედებანი ცოცხალი ბარომეტრი იყო ჩვენის მოქალაქობრივ მოუმწიფებლობისა, ზნეობრივ და გონებრივ ქესატობისა, ხასიათის სისუსტისა და ბრმად თაყვანისცემისა არსებულ ტრადიციისა. თანამედროვე ოფიციალურ ეკკლესიის იერარქია ერთად აღებული ხომ თავისს თავად სიყალბეა და დაცინვა ქრისტიანობისა, იმ ქრისტიანობისა, რომელსაც ქადაგებდა იესო ნაზარეველი, მაგრამ განსვენებულმა ეპისკოპოსმა ყოველ გვარ წესს გადააჭარბა.

ღირს შესანიშნავია, რომ მისი ცხოვრება დაბადებიდანვე ყალბ ნიადაგზე იქმნა აშენებული. იგი დედის მუცელშივე ბერად დასახეს, მაგრამ არა სულის ცხოვნებისათვის, არამედ იმიტომ, რომ ჰყოლოდიდელი გამხდარიყო და მდიდარ საეკკლესიო მამულებს დაჰპატრონებოდა. მართლაც ბევრის დავიდარაბის, ბევრის პროტექციისა და სხვა და სხვა საშუალების შემდეგ 1886 წელს იგი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად გახდა და ამ დროიდან იწყება მისი მოქმედებანი. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც ხაზინიდან ყოველ წლობით ეძლევა რამდენიმე ათასი მანეთი, მუქთად აქვს მშვენიერი სასახლე, ჰყავს ეტლი ძვირფას ცხენებით; სადაც ფეხს გადადგამს და ხელს გააქნევს, ყველანი ქედს უხრიან და ხელზე ჰკოცნიან, ცოლი არა ჰყავს სარჩენი და შვილი, არავითარ საქველმოქმედო საქმეს ან მოსწავლეთ ან სკოლას არ ეხმარება; მაგრამ არა თუ ყველა ამით კმაყოფილი არაა, პირ-იქით, ყოველ ღონეს და საშუალებას ხმარობს, რომ ერთი ორი გროში კიდევ საიდანმე შეიძინოს და ამისათვის მზადაა ყოველნაირი საქმე ჩაიდინოს. გრიგოლ ეპისკოპოსმა სამღვდელ-მთავრო სახლი სავაჭრო დუქნად გადააქცია. ფულს თუ ბლომად მიუტანდი, ვისაც გინდოდა, გამ-

---

წავიწიე სტოლისაკენ: მინდოდა დამენახა „მისი“ სურათი, თუ იქ იქნებოდა. მაგრამ იქ იყო მხოლოდ დამჭკნარი იის პატარა კონა, ვერცხლის ვაზაში ჩადებული. მომაგონდა ის დრო, როდესაც „მას“ ჩემთან მოჰქონდა სურნელოვანი იის კონა, რომელსაც დიდ-ხანს არ ვინახავდი. ოდნავ გასაგონის ხმით კვლავ შემეკითხა, რა მსურდა. არ ვიცი რად, მაგრამ უცბად დავიწყე ტირილი. მხოლოდ მაშინ, როდესაც კიდევ შემეკითხა, მოვიკრიბე ძალა და ვკითხე, რა ამბავია ჩემს სატრფოს თავზე-მეთქი. მან გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ დიდ-ხანს ვერ გაუძლო ჩემის თვალების ცქერას: ცრემლი წასქდა და ზურგი შემომაქცია. მაშინ მივხვდი, რომ იგი აღარ იყო ამ ქვეყნად და გამოსალმებოდა წუთი-სოფელს ამ ქალის მიზეზით.

დიდ-ხანს ვიყავით ჩუმად. ბოლოს ვეღარ გავძელ და მოვუყე, რომ მე ღარიბი ქალი ვარ პროვინციიდან, „ის“ გავიცანი თავისავე დედასთან, რომელთანაც ვმუშაობდი. ვთქვი თუ არა ეს, მაშინვე მოვიაზრე, რომ იმის ამბის გაგება დედასთანაც შეიძლებოდა და ძალიან შემრცხვა. ის კი ადგა და კარებისაკენ მიმითითა. „გასწით აქედან ახლავე“. ადგილიდანაც არ დავიძარ. ვიდექ და ვუცქეროდი. უცბად კარებთან ახლოს დიდ სარკეში დავინახე ჩემი სახე, სავსე ყოველნაირ ზიზღით, სახე ძველებური ჰქონდა, **ქუჩური** სახე!..

ქალი გავიდა მეორე ოთახში და მოეფარა ფარდას. მოვარდა მხლებელი, თუმცა ხელი-კი ვერ მახლო. ისევ ერთს ალაგს ვიდექ და გავიძახოდი: „თუ არა გყავს მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც ყურს დაგიგდებს მაშინ, როდესაც სევდა გაწუხებს, გამოსთქვი ყველაფერი, რაც კი შენს გულშია მოგროვილი იმ ადამიანის წინაშე, რომელიც ყველაზედ ძლიერ გეზიზღება ამ ქვეყნად“. ყველაფერი ვუამბე „**იმის**“ შესახებ. ვუთხარი, როგორ მოვიდა ჩემთან, ვწევდი ამ ქალის მაგიერობას, რისთვისაც იგი ტუჩებში მკოცნიდა. ვუთხარ, როგორ მიამბობდა მასზედ და ბავშვებზედ, ბავშვებზედაც!—ორჯელ გავუმეორე—რომ ის მიამბობდა მასზედ და იმის ბავშვებზედ,—თუმცა მე მხოლოდ ქუჩის გოგო ვარ, როსკიპი მეთქი...

ამ სიტყვების შემდეგ ლუკმა-ლუკმად აქცია თხელი ფარდა; ნაფლეთებში მოსჩანდა იმისი მომტირალი თვალები. სული მიწუხდა მეტის-მეტ მღელვარებისგან. ისე ძლიერ მიცემდა გული, რომ სკამზე უნდა ჩამომჯდარიყავ, მაგრამ მოვიბრუნე თუ არა სული, გავარჩიე, როგორ ჩურჩულებდა დაგლეჯილ ფარდის იქით ერთსა და იმავეს: „წმინდა ხსოვნა... ეხლა ჩირქ მოცხებული... წმინდა მოგონებანიც-კი... ჩირქ მოცხებ...“

„ეე»—ვფიქრობდი მე,—თუ შენ მდიდარი, განათლებული ქალი ხარ და ამ სიტყვების მეტი კი ვეღარ გიპოვნია შენს გულში, მაშინ ხომ სიძულვილის ღირსიც აღარა ყოფილხარ მეთქი.“ მინდოდა ამდგარიყავ, მაგრამ მეშინოდა ყვირილი არ დაეწყო: „არ მომეკაროო“, და ხელები ტანისამოსისათვის არ ეტაცნა, როგორც თეატრშია ხოლმე. მე მასთან მისვლა არ მინდოდა, არც ავად და არც კარგად. ძალიან შემებრალა ის ქალი. ჩემს ცხოვრებაში პირველი იყო ეს—როდესაც ჩემი თავი-კი არა, სხვა შემებრალა.

ვუთხარი: „მივდივარ, არ მინდა შეურაცხყო ჩემის სუნთქვითაც კი. მე ხომ იმისთანა ვარ, რომელსაც ფულით, სადაც უნდათ, იქ წაიყვანენ; იმისთანა, რომელიც სიკვდილის ჟამს არ მოავაგონდები არა თუ უცხოს, თვით ჩემს მშობლებსაც კი. ვინ იცის, რამდენი ტკბილი და მწარე წამები გამოუვლია კაცს. შემდეგ შეეკითხებით იმას, ვინც მისცა ტკბილი წამები და ვინც მწარე...“

მაგრამ ვეღარ შევძელ აზრის დამთავრება, ვწვდი ჩემს ქოლგას და გამოვარდი ოთახიდან. კარიდორში შემხვდა პატარა ქალი, ძალზედ ფერმკრთალი, კრუჟევიან ტანისამოსში გამოწყობილი.

ქუჩაში ჩემს თავს გარიყულად აღარ ვთვლიდი და ყველას პირდაპირ თვალებში ვუცქეროდი.

ყველა ეს დიდი ხანია მოხდა. ერთი წელიწადი, მგონი, უფრო მეტი. დღესაც ვიყავი იმ **მოდის** მაღაზიაში. ჩემს ეტლთან გაჩერდა სხვა ეტლი, საიდანაც გადმოვიდა ის ქალი და ჩემზედ წინ მაღაზიაში შევიდა. ძლივს ვიცანი. ძალიან გამოცვლილა. გამხდარა ძალზედ, წვრწეტა კისერი ძაფის სისხო გახდომია. სიმაღლეც მოჰკლებია. ეხლა ის მე აღარა მგავს.

ისევ იმ ნოქარმა გადმომილაგა საქონელი. მხოლოდ ეხლა ისე თავხედურად აღარ მიცქერიან, როგორც წინად, რადგან ვისწავლე თავის დაჭერა. ამოვარჩიე ძვირფასი ჩინური საკაბე, გამოფენილი დიდ ფანჯარაში. იგი კარგად შეეხამება ჩემს პირისახის ფერს, თმასაც და ტანსაც.

ვ. ქ.

ღვდელ-გაადიაკონებდა. 1886—1893 წლებში გურია-სამეგრელოში ვის გინდა, რომ ანაფორა არ ჩაეცვას. ფოთში არსებობს ეგრედ წოდებული საეპარქიო სანთლის ქარხანა. ქარხანაში დამზადებული სანთელი იყიდება ეკკლესიებში და მოგება ხმარდება სხვა და სხვა საეკკლესიო საჭიროებას, უმეტესულად-კი სას. სასწავლებელს. კანონით საეპარქიო ქარხნის სანთელი მონოპოლიაა, სხვას უფლება არა აქვს მოამზადოს და გაჰყიდოს წმიდა სანთელი. საეპარქიო ქარხანას თავისი ბეჭედი აქვს, რომელიც აკრავს ყოველ სანთელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთიდან გამოიწერეს წმიდა სანთელივით ჩამოქნილი სუროგატი, ბეჭედი მოაჭრევინეს, გაიჩინეს საიმედო პირნი და ვაჭრობაც გააჩაღეს. ამ საქმეში ეპისკოპოსიც მონაწილეობას იღებდა. მე შენ გეტყვი, მუშტარს ვერ იშოვიდნენ. ერთგული ბლაღოჩინები სიამოვნებით ყიდულობდნენ ამ სანთელს და სწრაფადაც ასაღებდნენ «გააზნაურებულებზე» (ქრთამით ნაკურთხ მღვდლებზე). ყველა ეს ხდებოდა, რასაკვირველია, ჩუმად, მაგრამ ისე კი, რომ ყველამ იცოდა. ამნაირად ფოთში მოქმედებდა სანთლის ორი მაღაზია: ერთი ლეგალური, მეორე არა ლეგალური. არა ლეგალურ ფუთ სანთელს იძენდნენ რვა მანეთად და ჰყიდდნენ 40 მანეთად, ე. ი. 300% მეტი წმინდა მოგება რჩებოდათ. ლეგალური მაღაზია კი სულს ღაფავდა და გაკოტრების პირას იყო. დრო-გამოშვებით რევიზორიც ინიშნებოდა ეპარქიაში, კარგად დაათვალიერეთ ყალბი სანთელი არავინ გაჰყიდოსო.

მერე სად მიდიოდა, ან რას ხმარდებოდა ამდენი ფული? ჩემს დღეში არ დამავიწყდება ორი საწყალი მედავითნე ზოსიმე და ბექანა. ორთავენი ერთად ორ შტატიან ეკკლესიაში მსახურებდნენ. ორივე წვრილ შვილით იყო დატვირთული. ეპისკოპოსმა ერთსაც ჩამოართვა ორასი მანეთი და მეორესაც და მთავრად კურთხევა აღუთქვა. რამდენიმე წლიწადი ატყუილა ორივე და ბოლოს იმის ბატონობასაც ბოლო მოეღო და მედავითნენი მედავითნეებადვე დარჩნენ.

მერე როგორ უყურებდნენ ასეთ მოვლენებს თანამედროვენი? ინტელიგენციის წარმომადგენელნი სადარბაზოდ დადიოდნენ მასთან ხანდისხან, სხვათა შორის ვინმე ნაცნობის კურთხევასაც სთხოვდნენ, მუსაიფობდნენ, ელაქუცებოდნენ, ქებას ასხამდნენ. სამღვდელოება მოდიოდა ქუდ გადაგლეჯილი. მოჰქონდა ფული და სხვ. ისიც ბევრ გლეხს „აზნაურებდა".

როცა ეპისკოპოსს ძალა ხელში ჰქონდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მეგობარ-თაყვანის მცემლები ბუზივით გარს ეხვივნენ. არა ერთმა და ორმა გაისქელა ჯიბე იმის მიერ ზემორე თქმულ სანთლებით შექმნილ ფულით. თქმა არ უნდა, იყვნენ მისი საქციელით უკმაყოფილონიც, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო. ბოლოს «მღვდელმთავრობას» ძარი გამოულპა და ერთს მშვენიერ დღეს ბატონს ბატონობა ჩამოერთვა. ბატონი დასაჯეს, მაგრამ, როგორ? სწორედ ისე, როგორც ზუთხი სჯერია კრილოვის არაკში. ზუთხს ხომ პატარა თევზების განადგურებისათვის ჩამოხრჩობა ზღვაში გადაგდებაზე შეუცვალეს. ასე უყვეს გრიგოლ ეპისკოპოსსაც. ეპისკოპოსობა ჩამოართვეს, სამასი თუმანი პენსია დაუნიშნეს და მარტვილის მონასტერში მშვენიერ სასახლეში დააბინავეს.

**ქუთში.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული სალამო მოსკოვში.** 17 ნოემბერს მოსკოვის საუკეთესო დარბაზში („ბლაგ. სობრ.") გაიმართება ჩვეულებრივი მე 22 ქართული საღამო. საღამოს მართავს თავ. სუმბათაშვილი (იუჟინი), მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ალმა ფოსტრემი, გუშჩინა, კარენინა, ოდლინიცკაია-ლედნიცკაია, რენე რადინა ფიგნერისა, სმირნოვა, ტერიან-კორღანოვისა, ბ. ბ. ვლ. ალექსი მესხიშვილი, გლასოვი, ეგლახიშვილი, იკუმნოვი (როიალის დამკვრელი), კამიონსკი, მოგილევსკი (სკრიპკის დამკვრელი), სევასტიანოვი, სიმონოვი და მათი უდიდებულესობის სოლისტი ფიგნერი. ახალ ქართულ ხმების მოსკოვში პირველად შეასრულებს 160 კაცისგან შემდგარი ხორო კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით, მგალობლებისთვის ტფილისიდან გაუწერიათ ახალი ეროვნული ქართული ტანისამოსი. ხორისა და ორკესტრის მონაწილეობით ქ-ნი ნ. ისკანდერი შეასრულებს არიას „თამარ ცბიერიდან". სცენაზე გაიმართება ლეკური და კინტაური. შემდეგ დაიწყება ცეკვა, რომელსაც დირიჟორობას გაუწევენ საიმპერატორო თეატრის არტისტები ცარმანი და ბრიკინი. გარდა ამისა გამართულ იქნება ამურის ფოსტა, სერპანტინი, კონფეტტი, ოდეკოლონის შადრევანი, კიოსკები და სხ. დარბაზები მორთული იქნება ხალიჩებითა და ძვირფას მცენარეულობით.

წმინდა შემოსავალი გადადებულია მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ ქართველ სტუდენტობის სასარგებლოდ.

## რუსეთი

—:—

**დაპატიმრება.** ერთი დღის განმავლობაში ვარშავაში დაუპატიმრებიათ 148 კაცი, ლოძში 136. აქედან გენ. გუბერნატორის განკარგულებით 60 კაცს ცივ ქვეყნებში ასახლებენ.

**გაპონის მოკვლა.** გაზეთ „რუსში" დაბეჭდილია ერთ ცნობილ ემიგრანტის ნაამბობი შესახებ გაპონის სიკვდილისა. საქმე ასე ყოფილა: 1905 წ. ნოემბერში გაპონი მთავრობის ნებართვით პეტერბურგში დაბრუნდა და განაახლა მუშებთან ურთიერთობა. ლაპარაკისა და წერილების კილოდან მას შეატყვეს, რომ იგი გამოიცვალა და საეჭვო გახდა. რევოლიუციონერებმა გაპონს მიუჩინეს ცნობილი ემიგრანტი ინჟინერი რუტენბერგი და დაავალეს გაპონის ფიზიონომიის გამოიკვლევა. რუტენბერგმა მალე მოიპოვა ნდობა გაპონისა და დარწმუნდა, რომ გაპონი რევოლიუციას გადაუდგა და მთავრობას მიემხრო. ბოლოს გაპონმა უთხრეს რუტენბერგს, რევოლიუციონერთა ორგანიზაციის კომიტეტი გავცეთ და სამაგიეროდ 50,000 მანეთს მივიღებთო. რუტენბერგი დაეთანხმა და ადგილად დაუნიშნა ერთი აგარაკი ფინლიანდიაში. რუტენბერგს იქ უნდა მიეტანა სია კომიტეტისა და ადრესები. რუტენბერგმა დანიშნულ აგარაკში გაგზავნა ორი რევოლიუციონერი და ორი მუშა მომხრე გაპონისა, რომელთაც საკუთარის ყურით უნდა გაეგოთ გაპონის ღალატი.

გაპონი შევიდა დანიშნულ ოთახში და კარები ჩაკეტა. იგი დამშვიდებული იყო და არაფერს მოელოდა. მეორე ოთახიდან მუშები ყურს უგდებდნენ.

—დოკუმენტები მოიტანე? — ჰკითხა გაპონმა რუტენბერგს.—ნუღარ ვაჭიანურებთ საქმეს, ჩქარა მომეცი. რუტენბერგმა მიუგო, დოკუმენტები ჯიბეში მაქვს, მაგრამ ვინ დამიდგება თავმდებად, რომ დაპირებულ ფულს მივიღებო.

— უეჭველად მიიღებ,—მიუგო გაპონმა. საქმე გათავდა. ყველანი დარწმუნდნენ გაპონის ღალატში. რუტენბერგმა ველარ მოითმინა, ნიღაბი მოიხსნა და მოჰყვა გაპონის ლანძღვას. გაპონი ხმას არ იღებდა და გამწარებული ოთახში დარბოდა. მერე უცებ კარები გააღო და გარედ გასვლა მოინდომა, მაგრამ წინ აეტუზა მისი ნაცნობი რევოლიუციონერი. გაპონმა გველ-ნაკბენივით უკან დაიხია, მაგრამ გვიან-ღა იყო: სამმა ტყვიამ განგმირა იგი. დანარჩენები გამოვარდნენ და ბოლო მოუღეს 9 იანვრის გმირს.

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

**(ღია წერილი ექიმ უ. ჩიქოვანს.)**

როგორც უკვე მოგეხსენებათ, მე თქვენ გამოგიწვიეთ სამედიატორო სამართალში. იცით ისიც, რომ სამედიატორო სამართალში გამოგიწვიეთ ჩემი ორი შვილის ავადმყოფობის გამო, რომელსაც თქვენ ექიმობდით და რომელთაგან ერთი გარდაიცვალა. თქვენ დასთანხმდით ჩემ გამოწვევაზე, მედიატორეებად აირჩიეთ ექიმები, ბ—ნნ მამინოვი და ბეგთაბეგოვი, მაგრამ სამართალი არ შესდგა, რადგან თქვენ მოითხოვეთ, სასამართლოს განაჩენი არ გამოქვეყნებულიყო გაზეთებში. ახლა მოგმართავთ გაზეთის საშუალებით, უკან წაიღოთ თქვენი პირობა, რადგან ამ საქმეს საზოგადო მნიშვნელობა აქვს და განაჩენიც საზოგადოებას უნდა ეწყოს გაზეთის საშუალებით.

**ალ. კვერკველაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ბუალიშვილი.**


# განცხადებანი

## ვერაზე

ქართულ გიმნაზიის გვერდით **იყიდება** მიწა, ზომით 92 ოთხ.-კუთ. საჟ. მსურველთ ვთხოვ მიმართონ „ისრის" რედაქციაში დილის 11—2 საათამდე, ხოლო 4—5 საათამდე შემდეგის ადრესით: Арагвинская ул., д. № 8.

(10—5)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ჟ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აკელიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. უზერბანინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—157)

მასწავლებელთა

## საყურადღებოდ!

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.

ამ დედანთან სახმარებელი

**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეთიკული კრებული"

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. „მეორე ნაწ. კრებულისა" (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე.

(20—17)

# ავადმყოფებს და სუსტებს

# „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ვნებით გატაცებულხართ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენცია**, იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების ალსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლიან როგორც სენთან, ისე ყველაფრის გამანადგურებელ დრო-ჟამთან. «**სპერმატინი**» შედგა **ბრაუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენაა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღალულობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მიჯარებებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელ წელიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე ძადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებიაა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რაც გამოიწვია შემომაკლდა წამლობის სახსარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი" ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბორატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი" მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ როგორ გადავარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს**, ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **გ. მნაცაკანოვისა**, ტფილისი, 22 აგვისტო.

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. მოწ. ხელქწ. ბ. გ. ახობაძე, წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში", რომ თქვენ კანტორაში იყიდება „სპერმატინი" ლაბორატორიის ივანოვისა, რომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩემი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წელიწადი ავად ვარ ნერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სიავადითა და მომდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რევმატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც მივიღე ოთხი ფლაკონი თქვენი სპერმატინის, სულ განვთავისუფლდი მოხსენებულს სატკივრებისაგან და ამ თქვენ წამლის მიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გამოწერილი ექიმებისაგან, მაგრამ არა მიშველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწირავთ, ბ. ი. ახობაძევ, და ვიქნები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემის შველისათვის.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და მისი მაზრა სოფ. ვანი, **ივანე ბადანჩიძე.**

**ბ-ნ ხ. ბ. ი. ახობაძეს.** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გამოცემულ „სპერმატინისათვის", ლაბორატორია ი. ნ. ივანოვისა. 2 წელიწედ მეტი ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარაცხელიასაგან ერთი ფლაკონი, უკედ გავხდი. მერე ვიხმარე მეორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, სულ განვიკურნე. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივის მცემელი **გიგო ადამიანი** სოფელ ოტობაიას მცხოვრები, სოხუმის ოლქის და გალის ნაწილისა. 12 ოქტომბერი, 1907 წ.

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპერმინი» ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.**

(0—6.—6)

პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის!



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას", რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ.

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

## ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა.

(100—92)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.